ფილმი, როგორც მედიასაშუალება მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევის გასავითარებლად გერმანული ენის გაკვეთილზე

სხილაძე თამარი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის (გერმანული ენა) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (გერმანული ენა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოსოფ. მეცნ.დოქტ. ეკატერინე შავერდაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სხილაძე თამარი

26.01.2018

მადლობა

ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ეკატერინე შავერდაშვილს, რომელიც არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, არამედ მთელი სამაგისტრო კურსის განმავლობაში გვერდში მედგა, მეხმარებოდა, მაძლევდა ძალიან საჭირო და გამოსადეგ რჩევებს და რომლის წყალობითაც მომეცა შესაძლებლობა მესწავლა გერმანიაში იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში, სადაც დავიწყე კიდეც მუშაობა ჩემს სამაგისტრო ნაშრომზე.

იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორებს ქრისტინა ქუნს (Christina Kuhn) და ანასვეტს (Anna Svet), რომელთა ლექციები და სემინარები ინსპირაციის წყაროდ იქცა ჩემი მომავალი სამაგისტრო ნაშრომისთვის.

თბილისის ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს მაია გოგიაშვილს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებაში და თავიდანვე სჯეროდა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის წარმატების.

თბილისის ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის გერმანული ენის მეშვიდე-მეორე კლასის მოსწავლეებს, რომლებიც მაშინვე დაინტერესდნენ ჩემს მიერ შეთავაზებული იდეით და აქტიურად მიიღეს მონაწილეობა დაგეგმილ კვლევაში

სარჩევი

მადლობა ii

აბსტრაქტი 1

Abstract 1

შესავალი 3

1 მედიები და უცხოური ენის გაკვეთილი 6

1.1 *გაციფრებული მსოფლიო* 6

1.2 *ციფრული მედიების როლი უცხოური ენის გაკვეთილზე* 8

1.2.1 ციფრული მედიების ფუნქცია უცხოური ენის ათვისებისას 8

1.2.2 ციფრული მედიის სახეები 11

1.2.3 ციფრული მედიასაშუალებები 13

1.3 *ციფრული მედიის როლი ეროვნულ სასწავლო გეგმაში* 17

2 ფილმი, როგორც ციფრული მედიასაშუალება უცხოური ენის გაკვეთილზე 19

2.1 *ფილმი, როგორც მნიშვნელოვანი საშუალება ენის ათვისებისას* 19

2.2 *ფილმი, როგორც მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევის გასავითარებელი მედიასაშუალება* 22

3 საქართველოს გამოცდილების ანალიზი 25

3.1 *ციფრული მედიებითა და მედიასაშუალებებით მუშაობის გამოცდილება საქართველოში* 25

3.2 *გრიფირებული სახელმძღვანელოების ანალიზი* 29

4 ემპირიული კვლევა 30

4.1 *მოსამზადებელი ეტაპი. კვლევის მეთოდების შერჩევა* 30

4.2 *კვლევის შეზღუდვები* 32

4.3 *კვლევის ეტაპები* 33

4.3.1 ინტერვენციების დაგეგმვა. მოსამზადებელი ეტაპი 33

4.3.2 ინტერვენციები 35

4.4 *კვლევის შედეგების ანალიზი* 46

4.4.1 პრეტესტების ანალიზი 46

4.4.2 კვლევის შუალედური შეფასება 50

4.4.3 კვლევის დასკვნითი შეფასება 53

5 კვლევის შედეგები და რეკომენდაციები მოსმენა-ყურებაზე მუშაობის დროს 61

5.1 *კვლევის შედეგები და ძირითადი მიგნებები* 61
5.2 *რეკომენდაციები მასწავლებლებს* 63
ბიბლიოგრაფია 64
დანართები 67

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ქალაქ თბილისის აკადემიკოს ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ,,ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (გერმანული ენა)'' სტუდენტის მიერ.

აღნიშნულ ორგანიზაციაში განხორციელდა პრაქტიკის კვლევა. კერძოდ, ფილმის როლის, როგორც მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევის განმავითარებელი მედიასაშუალების, კვლევა გერმანული ენის გაკვეთილზე. კვლევა მოიცავს თეორიულ და ემპირიულ ეტაპებს.

კვლევის საწყის ეტაპზე გერმანული ენის მასწავლებლისა და მოსწავლეების გამოკითხვის შედეგად მოხდა საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება. მასწავლებლის თქმით, გერმანული ენის გაკვეთილზე, სხვა გაკვეთილებისგან განსხვავებით, ინტენსიურად მუშაობენ ციფრული მედიასაშუალებებით, თუმცა ეს საკმარისი არ არის მოსწავლეებისთვის, რადგან ხშირად მათ ხელს უშლით ტექნიკური აღჭურვილობის გაუმართაობა სკოლაში. მასწავლებელმა სიღრმისეული ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ფილმებით აქამდე არ უმუშავიათ გერმანული ენის გაკვეთილზე და რომ ეს განსხვავებული და ამავე დროს საინტერესო გამოწვევა იქნება როგორც მისთვის ასევე მოსწავლეებისათვის. თავის მხრივ, მოსწავლეთა უმეტესობამ კითხვარში აღნიშნა, რომ ისინი არ იყენებენ ციფრულ მედიებს ზოგადად საგაკვეთილო პროცესში და იშვიათად იყენებენ გერმანული ენის გაკვეთილზე. ამის გამო მათ უჭირთ, მაგალითად, მოსმენილი ტექსტების გაგება გერმანულ ენაზე და ვარაუდი გამოთქვეს, რომ მოსმენილის ვიზუალიზაცია ფილმების დახმარებით გაუადვილებდათ ამ სირთულეს. შესაბამისად, მასწავლებელთან შეთანხმების შედეგად და მოსწავლეთა მხრიდან წამოსული დიდი ინტერესის გათვალისწინებით დაიგეგმა გერმანული ენის გაკვეთილებზე სასწავლო ვიდეოფილმების შეტანა, რომლებიც თემატურად დაემთხვეოდა საგაკვეთილო მასალას.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მოსმენა-ყურებაზე მუშაობას საკმარისი დრო არ ეთმობა, და, შესაბამისად, მოსწავლეებში ეს უნარ-ჩვევა სათანადოდ არ არის განვითარებული საქართველოში. ამასთანავე, გამოვლინდა, რომ ფილმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციფრული მედიასაშუალებაა, რომელიც ავითარებს მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევას, აწვდის მოსწავლეებს ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციას და უღვივებს მათ ინტერესს სამიზნე ენისადმი.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საქართველოში ჩატარებული მხოლოდ ერთი კვლევა მოიპოვება (ქავთარაძე 2012). შესაბამისად, წინამდებარე პრაქტიკის კვლევა შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს განათლების სფეროში უცხოური ენების სწავლა-სწავლების კერძოდ, და გერმანული ენის, და არა მარტო, მიმართულებით მომუშავე მასწავლებელებისა და თეორეტიკოსებისთვის.

თემატური საკვანძო სიტყვები: მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევა; ციფრული მედიასაშუალებები; ციფრული მედიების გამოყენება სასწავლო პროცესში; საგაკვეთილო პროცესი

Abstract

The following Master's thesis is a report on a research of the practice conducted at the 42nd Public Physics and Mathematics School named after I. Vekua in Tbilisi. The research was conducted by the students of Faculty of Sciences and Arts Master degree program „Teacher of basic and secondary level subject of secondary school/Subject group teacher (German language) of Ilia State University.

In mentioned organizations the research of practice was conducted. In particular, the role of movie, as a media mean for developing hearing-listening skills in the German lesson. The research consists of theoretical and empirical stages.

At the initial stage of the research, as a result of a questioning of German language teachers and pupils, the problem of research was identified. According to the teacher, in the German language lesson, in comparison with other lessons, they work intensively with digital media outlets, although this is not enough for pupils, because they are often prevented by a malfunction of technical equipment in the school. During the in-depth interview the teacher pointed, that before they didn't work with movies in the German language lesson and it will be different and at the same time interesting challenge for both teacher and the pupils. In turn, most pupils pointed out in the questioning that they do not use digital media in general teaching process and rarely use it in the German language lesson. For this reason, they find it hard to understand, for example, the texts that are heard in the German language and suggested that the visualization of the hearing with the help of movies would make easier this difficulty. Consequently, as a result of agreement with the teacher and considering the great interest from the pupils, it was planned to introduce learning videofilms in German language lessons which were subjected to the subject of material.

The results of the questioning confirmed the hypothesis that the lack of sufficient time to work on hearing and watching is not enough, and therefore the skills in the pupils are not properly developed in Georgia. In addition, it was revealed that the movie is one of the most important

digital media outlets that develops listening skills, provides students with information about the country and encourages their interest in target language.

There are no researches conducted in Georgia regarding this issue, however, the role of digital media and media outlets has one research in the course of the study (ქავთარაძე 2012). Consequently, research of the present practice may be of interest to educators and theorists working in the field of learning and teaching foreign languages, in particular, German language and not only it.

Thematic keywords: hearing-listening skills; digital media outlets; use of digital media in the study process; lesson process.